თბილისის სააპელაციო სასამართლო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სახელით

საქმე №2ბ/1938-11 **28 თებერვალი, 2012 წელი**

სამოქალაქო საქმეთა პალატა

თავმჯდომარე, მომხსენებელი - ქეთევან მესხიშვილი
მოსამართლეები – გია კახეთელიძე, ნატალია ნაზღაიძე

სხდომის მდივანი – ქეთევან ფხოველიშვილი

აპელანტი – ი. გ., მა. ხ., მე. ხ., შ. კ., ო. ხ.
წარმომადგენელი – მ. ს.

მოწინააღმდეგე მხარე – სს „პ. ბ.“
წარმომადგენელი – ვ. ბ.

გასაჩივრებული გადაწყვეტილება – თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილება

დავის საგანი – საკრედიტო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე დავალიანების გადახდის დაკისრება და იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების რეალიზაცია

1. აპელანტების მოთხოვნა – გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა

2. გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებზე მითითება

სს „პ. ბ.-ს“ მიერ ი. გ.-ს, მა. ხ.-ს, მე. ხ.-ს, შ. კ.-სა და ო. ხ.-ს მიმართ წარდგენილი სასარჩელო მოთხოვნები:

– ი. გ.-ს, მე. ხ.-სა და მა. ხ.-სათვის სს „პ. ბ.-ს“ სასარგებლოდ 2009 წლის 3 ნოემბრის NX/X/XX65 გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების შემადგენელი NX/X/XXX5/1 საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის ძირითადი თანხის – 31465,55 აშშ დოლარის სოლიდარულად დაკისრება;

– ი. გ.-ს, მე. ხ.-სა და მა. ხ.-სათვის სს „ჰ. ბ.-ს“ სასარგებლოდ 2009 წლის 3 ნოემბრის NX/X/XX65 გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების შემადგენელი NX/X/XXX5/1 საკრედიტო ხელშეკრულებით სესხისათვის გათვალისწინებული სარგებლის სოლიდარულად დაკისრება ხელშეკრულების ვადის ბოლომდე დასარიცხი ოდენობით – 38512,63 აშშ დოლარის ოდენობით (მიუღებელი შემოსავალი);

– ი. გ.-ს, მე. ხ.-სა და მა. ხ.-სათვის სს „ჰ. ბ.-ს“ სასარგებლოდ 2009 წლის 03 ნოემბრის NX/X/XX65 გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების შემადგენელი NX/X/XXX5/1 საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჯარიმის გადახდის დაკისრება 21,5 აშშ დოლარის ოდენობით;

– ი. გ.-ს, მე. ხ.-სა და მა. ხ.-სათვის სს „ჰ. ბ.-ს“ სასარგებლოდ 2009 წლის 4 ნოემბრის NX/X/XX65 გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების შემადგენელი NX/X/XXX5/2 საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის ძირითადი თანხის – 47381,31 აშშ დოლარის სოლიდარულად დაკისრება;

– ი. გ.-ს, მე. ხ.-სა, მა. ხ.-სათვის სს „ჰ. ბ.-ს“ სასარგებლოდ 2009 წლის 4 ნოემბრის NX/X/XX65 გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების შემადგენელი NX/X/XXX5/2 საკრედიტო ხელშეკრულებით სესხისათვის გათვალისწინებული სარგებლის სოლიდარულად დაკისრება ხელშეკრულების ვადის ბოლომდე დასარიცხი ოდენობით – 59426,86 აშშ დოლარის ოდენობით (მიუღებელი შემოსავალი);

– ი. გ.-ს, მე. ხ.-სა და მა. ხ.-ს სრული დავალიანების გადახდევინების მიზნით შ. კ.-ს კუთვნილი იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების (მდებარე თბილისში, შ.-ს ქუჩა NX-ში, საკადასტრო კოდი XX.XX.XX.XXX.XXX.XX.XXX) რეალიზაცია;

– ი. გ.-ს, მე. ხ.-სა და მა. ხ.-ს სრული დავალიანების გადახდევინების მიზნით ო. ხ.-ს კუთვნილი იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების (მდებარე თბილისში, ლ.-ს ქუჩა NXX–XX–ში, საკადასტრო კოდი XX.XX.XX.XXX.XXX.XX.XXX) რეალიზაცია;

– იპოთეკის საგნების რეალიზაციის გზით კრედიტორის მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილების შეუძლებლობის შემთხვევაში მოვალეთა საკუთრებაში არსებული სხვა ქონების რეალიზაცია.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი

სს „ჰ. ბ.-ს“ სარჩელი დაკმაყოფილდა შემდეგი სახით:
– ი. გ.-ს, მა. ხ.-სა და მე. ხ.-ს სს „ჰ. ბ.-ს“ სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 2009 წლის 03 ნოემბერს N/X/XXX5/1 საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე კრედიტის ძირითადი თანხა 31364,55 აშშ დოლარის ოდენობით, პირგასამტეხლო 221,5 აშშ დოლარის ოდენობით და მიუღებელი შემოსავალის სახით მიღებული ზიანის ანაზღაურება 38512,63 აშშ დოლარის ოდენობით;

– ი. გ.-ს, მა. ხ.-სა და მე. ხ.-ს სს „ჰ. ბ.-ს“ სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 2009 წლის 4 ნოემბერს N/X/XXX5/2 საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე კრედიტის ძირითადი თანხა 47381,31 აშშ დოლარის ოდენობით და მიუღებელი შემოსავალის სახით მიღებული ზიანის ანაზღაურება 59426,86 აშშ დოლარის ოდენობით;

– დავალიანების (ჯამში 176906,85 აშშ დოლარის) დაფარვის მიზნით იძულებით საჯარო აუქციონზე სარეალიზაციოდ მიექცა იპოთეკით დატვირთული შემდეგი ქონება: ა) შ. კ.-ს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება მდებარე თბილისში, შ.-ს ქუჩა NX-ში, ფართი 97,73 კვ.მ, საკადასტრო კოდი XX.XX.XX.XXX.XXX.XX.XXX, ბ) ო. ხ.-ს კუთვნილი უძრავი ქონება მდებარე თბილისში, ლ.-ს ქუჩა NXX–XX-ში, 24.00/799.00 ნაწილი, საკადასტრო კოდი XX.XX.XX.XXX.XXX.XX.XXX.

– იპოთეკის საგნების რეალიზაციის გზით კრედიტორის მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილების შეუძლებლობის შემთხვევაში დადგინდა მოვალეთა საკუთრებაში არსებული სხვა ქონების რეალიზაცია.

დასკვნები ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით

2.1. 2009 წლის 3 ნოემბერს სს „პ. ბ.-სა“ და ი. გ.-ს შორის გაფორმდა NX/X/XX65 გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება შემდეგი პირობებით: საკრედიტო ლიმიტის მოცულობა 80 000 აშშ დოლარი, სარგებელი – არაუმეტეს წლიური 36%–სა, პირგასამტეხლო – გადასახდელი თანხის 0,5% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხელშეკრულების ვადა 180 თვე. დასახელებული ხელშეკრულების ფარგლებში ამავე დღეს გაფორმებული NX/X/XXX5/1 საკრედიტო ხელშეკრულებით ი. გ.-ზე გაიცა კრედიტი 32 000 აშშ დოლარის ოდენობით 120 თვის ვადით წლიური 20% სარგებლით, ხოლო 2009 წლის 4 ნოემბერს გაფორმებული NX/X/XXX5/2 ხელშეკრულებით ი. გ.-ზე გაიცა კრედიტი 48 000 აშშ დოლარის ოდენობით 120 თვის ვადით წლიური 20% სარგებლით;

2.2. სს „პ. ბ.-სა“ და ი. გ.-ს შორის დადებული საკრედიტო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით:

ა) 2009 წლის 3 ნოემბერს სს „პ. ბ.-სა“ და მ. ხ.-ს შორის დაიდო სოლიდარული ვალდებულების შესახებ NX/X/XXX5/1 ხელშეკრულება;

ბ) 2009 წლის 03 ნოემბერს სს „პ. ბ.-სა” და მ. ხ.-ს შორის დაიდო სოლიდარული ვალდებულების შესახებ NX/X/XXX5/2 ხელშეკრულება;

2.3. სს „პ. ბ.-სა” და ი. გ.-ს შორის დადებული საკრედიტო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით:
ა) 2009 წლის 2 ნოემბრის ხელშეკრულებით სს „პ. ბ.-ს“ სასარგებლოდ იპოთეკით დაიტვირთა შ. კ.-ს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება მდებარე თბილისში, შ.-ს ქუჩა NX-ში, საკადასტრო კოდი XX.XX.XX.XXX.XXX.XX.XXX;

ბ) 2009 წლის 02 ნოემბრის ხელშეკრულებით სს „პ. ბ.-ს“ სასარგებლოდ იპოთეკით დაიტვირთა ო. ხ.-ს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება მდებარე თბილისში, ლ.-ს ქუჩა NXX/XX-ში, წილობრივი მონაცემები XX.00/XXX.00, საკადასტრო კოდი XX.XX.XX.XXX.XXX.XX.XXX;

2.4. ი. გ.-ს NX/X/XXX5/1 ხელშეკრულების საფუძველზე სესხის ძირითადი თანხისა და პროცენტის სახით ყოველთვიურად უნდა ეხადა 618,38 აშშ დოლარი, ხოლო NX/X/XXX5/2 ხელშეკრულების საფუძველზე - 927,08 აშშ დოლარი. ი. გ.-ს მიერ ვალდებულების შესრულების გრაფიკის სისტემატური დარღვევის გამო მას წარმოეშვა დავალიანება სესხის ძირითადი თანხის, სარგებლისა და პირგასამტეხლოს დარიცხვით. აღნიშნულის თაობაზე ი. გ. გაფრთხილებულ იქნა

2010 წლის 7 ივნისის წერილით, რომლითაც განესაზღვრა 14 დღის ვადა დავალიანების დასაფარად. გაფრთხილების წერილი ი. გ.-ს 2010 წლის 7 ივნისს ჩაბარდა. გაფრთხილების წერილები ასევე მიიღეს სოლიდარულმა თავდებებმა და იპოთეკის საგნის მესაკუთრეებმა. 2010 წლის 21 ივლისს ი. გ.-მ აღებული კრედიტების შესაბამისად გადაიხადა მხოლოდ 700 აშშ დოლარი. ხელშეკრულების შეწყვეტის წინაპირობების არსებობა სადავოდ არ გაუხდია ი. გ.-ს წარმომადგენელს.

2010 წლის 21 ივლისის მდგომარეობით ი. გ.-ს დავალიანებამ NX/X/XXX5/1 ხელშეკრულების საფუძველზე შეადგინა 31363,55 აშშ დოლარი სესხის ძირითადი თანხის სახით, 221,5 აშშ დოლარი პირგასამტეხლოს სახით და 38512,63 აშშ დოლარი მიუღებელი შემოსავლის სახით. 2010 წლის 21 ივლისის მდგომარეობით ი. გ.-ს დავალიანებამ NX/X/XXX5/2 ხელშეკრულების საფუძველზე შეადგინა 47381,31 აშშ დოლარი სესხის ძირითადი თანხის სახით და 59426,86 აშშ დოლარი მიუღებელი შემოსავლის სახით.

დასკვნები სამართლებრივ გარემოებებთან დაკავშირებით

2.5. სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის მიხედვით, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. ამავე კოდექსის 317-ე მუხლით, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან.

სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. სასამართლოს განმარტებით, თუკი მოვალე გადააცილებს ვალდებულების შესრულების დროს ან შეასრულებს მას არაჯეროვნად, ეს განიხილება ვალდებულების დარღვევად. ხელშეკრულება არის მხარეთა შეთანხმება მათი ურთიერთობის არსებით და მნიშვნელოვან მომენტებზე, რომელიც გავლენას ახდენს მათი უფლება-მოვალეობების წარმოშობაზე და საერთოდ იმაზე, იქონიებს თუ არა ეს ურთიერთობა დასახულ შედეგებს.

სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლით, ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით.

სამოქალაქო კოდექსის 867-ე მუხლით, საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით კრედიტის გამცემი აძლევს ან მოვალეა მისცეს მსესხებელს სასყიდლიანი კრედიტი სესხის ფორმით. ამავე კოდექსის 868-ე მუხლის პირველი ნაწილით, მხარეთა შეთანხმებით კრედიტორისათვის შეიძლება განისაზღვროს მყარი ან ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი. სასამართლოს განმარტებით, საბანკო კრედიტი სესხის ნაირსახეობაა და განსახილველ ურთიერთობაში კოდექსის 623-ე მუხლი წინააღმდეგობაში არ მოდის საბანკო კრედიტის თაობაზე სპეციალურ ნორმებთან.

სამოქალაქო კოდექსის 873-ე მუხლის მიხედვით, კრედიტის გამცემს შეუძლია შეწყვიტოს საკრედიტო ურთიერთობა, თუ გათვალისწინებულია კრედიტის დაბრუნება ნაწილ-ნაწილ და კრედიტის ამღებმა გადააცილა ზედიზედ, სულ ცოტა, ორ ვადას. შეწყვეტა ძალაში შედის მაშინ, თუ ორკვირიანი დამატებითი ვადის მიცემის შემდეგაც არ მოხდება გადახდა.

სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ სს „პ. ბ.-მ“ ი. გ.-ს განუსაზღვრა 14 დღის ვადა ვალდებულების შესასრულებლად. ამდენად, საბანკო კრედიტის ხელშეკრულება შეწყვეტილად ითვლება დასახელებული ვადის გასვლის შემდეგ;

2.6. სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო.

სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლით, პირგასამტეხლო არის მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის.

სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხე მხარის განმარტება, რომლის მიხედვით სს „პ. ბ.-ს“ არ აქვს უფლება, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება საკრედიტო ხელშეკრულების ვადის ბოლომდე მისაღები სარგებლის გადახდის სახით. სასამართლოს მითითებით, უდავოა, რომ ხელშეკრულების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მოსარჩელე მიიღებდა შეთანხმებულ სარგებელს. კრედიტის ვადაზე ადრე გადახდის მოთხოვნას საფუძვლად დაედო მსესხებლის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა. სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან სს „პ. ბ.“ საბანკო დაწესებულებაა და მის საქმიანობას საბანკო კრედიტის გაცემით შემოსავლის მიღება წარმოადგენს, არ ართმევს მას უფლებას, მოითხოვოს მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება, რაც დაგეგმილი იყო კონკრეტული საკრედიტო ხელშეკრულების დადებით. სამოქალაქო კოდექსის 872-ე მუხლის მიხედვით, თუ კრედიტის ამღები უკან აბრუნებს კრედიტს საკრედიტო ურთიერთობის დამთავრებამდე, მაშინ კრედიტის გამცემს შეუძლია მოითხოვოს ზიანის შესაბამისი ანაზღაურება. ამასთან, ზიანის საზღაურში უნდა ჩაითვალოს დაზოგილი გასავლების ღირებულება. სასამართლოს განმარტებით, საკრედიტო ურთიერთობის ვადაზე ადრე შეწყვეტა კრედიტის მიმღებისათვის ქმნის დარჩენილი პერიოდის შესაბამისი საზღაურის დაზოგვის შესაძლებლობას, კანონი კი საბანკო დაწესებულებას ანიჭებს ზიანის ანაზღაურების ანგარიშში კრედიტის მიერ დაზოგილი პროცენტის მოთხოვნის უფლებას. იგივე წესი უნდა იქნეს გამოყენებული, როცა საკრედიტო ურთიერთობა წყდება მსესხებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო.

2.7. სამოქალაქო კოდექსის 895-ე მუხლის შესაბამისად, თუ თავდები კისრულობს პასუხისმგებლობას სოლიდარულად ან სხვა თანაბარმნიშვნელოვანი სახით, მას შეიძლება წაეყენოს მოთხოვნა იძულებითი აღსრულების მცდელობის გარეშეც, თუ ძირითადმა მოვალემ გადააცილა გადახდის ვადას და უშედეგოდ იქნა გაფრთხილებული, ანდა მისი გადახდისუუნარობა აშკარაა;

2.8. სამოქალაქო კოდექსის 301-ე მუხლით, თუ მოვალე არ დააკმაყოფილებს მოთხოვნას, რომლის უზრუნველყოფის საშუალებაც არის იპოთეკა, იპოთეკარი უფლებამოსილია, მოითხოვოს უძრავი ნივთის რეალიზაცია, თუ იპოთეკის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

სამოქალაქო კოდექსის 301-ე მუხლის 1^1 პუნქტის მიხედვით, მოთხოვნა, რომლის უზრუნველყოფის საშუალებაც არის იპოთეკა, დაკმაყოფილებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა საკმარისი არ არის იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დასაფარავად, თუ კანონით ან მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოთხოვნა სოლიდარული მოვალეების კუთვნილი ქონების რეალიზაციის თაობაზე წარმოადგენს აღსრულების წესის განსაზღვრასთან დაკავშირებულ მოთხოვნას.

სასამართლოს მითითებით, სამოქალაქო კოდექსი ადგენს სოლიდარული მოვალეების პასუხისმგებლობას, სრულად დააკმაყოფილონ კრედიტორის მოთხოვნა. ამდენად, კრედიტორის მოთხოვნა არ შეიძლება, გაუქმდეს იპოთეკის საგნის რეალიზაციიდან ამონაგები თანხის ნაკლებობისას. სხვაგვარად მივიღებთ ისეთ მდგომარეობას, რომ თავდებებთან დადებულ ხელშეკრულებებს შეიძლება, არანაირი სამართლებრივი შედეგი მოჰყვეს და სოლიდარულ მოვალეებს მიეცემათ ლეგიტიმური უფლება, თავი აარიდონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას, რაც თავის მხრივ უარყოფით გავლენას იქონიებს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობაზე.

3. სააპელაციო საჩივრის საფუძვლები

3.1. სს „ბ. ბ.-ს“ მიერ არ ყოფილა გამოვლენილი ნება ხელშეკრულების შეწყვეტაზე. ბანკმა მოპასუხეებს განუსაზღვრა დამატებით 14 დღის ვადა ვალდებულების შესასრულებლად, ასევე გააფრთხილა ისინი ამ ვადის განმავლობაში ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ხელშეკრულების შეწყვეტისა და დავის წამოწყებასთან დაკავშირებით, თუმცა, ვადის გასვლის შემდეგ ხელშეკრულების შეწყვეტას ადგილი არ ჰქონია. ამდენად, ხელშეკრულების შეწყვეტის დადგენილად ჩათვლა ავტომატურად არასწორია და ეწინააღმდეგება სამოქალაქო კოდექსის 355-ე მუხლის დებულებას;

3.2. სასამართლომ არასწორად მიიჩნია სს „ბ. ბ.-ს“ წინაშე ი. გ.-ს დავალიანების ოდენობად 70098,68 აშშ დოლარისა და 106808,17 აშშ დოლარის არსებობა უდავო გარემოებად. მოპასუხე მხარის ახსნა-განმარტებაში ყურადღება იქნა გამახვილებული სწორედ იმაზე, რომ დავალიანების ანგარიში არასწორია, რამდენადაც ზიანის ანაზღაურების სახით მოთხოვნილი თანხა არ შეიძლებოდა, ჩათვლილიყო ი. გ.-ს დავალიანებად.

მიუღებელი შემოსავლის სახით მოთხოვნილი თანხის მიღების უფლება სს „ბ. ბ.-ს“ არ გააჩნია. ხელშეკრულების სრული ვადის განმავლობაში კრედიტისათვის გადასახდელი სარგებლის მოვალისათვის დაკისრებით ბანკი მიიღებს იმ თანხას, რომელიც კრედიტისათვის იქნებოდა გადახდილი ამ კრედიტით 10 წლის განმავლობაში სარგებლობის შემთხვევაში. საპროცენტო სარგებელი ბანკს მხოლოდ იმ შემთხვევაში ეკუთვნის, თუკი ვალდებულება ჯეროვნად შესრულდება. ამგვარი ფორმულირება არ ნიშნავს ხელშეკრულების შესრულებას მხოლოდ ერთი მხარის სასარგებლოდ. ბანკს შეუძლია მოითხოვოს გაცემული კრედიტისათვის 10 წლის განმავლობაში გადასახდელი საპროცენტო სარგებელი, თუკი მოპასუხეც 10 წლის განმავლობაში ისარგებლებდა კრედიტით. სხვა შემთხვევაში, გამოდის, რომ ბანკი ღებულობს კრედიტის ძირითად თანხას არა 10 წლის შემდეგ, არამედ 1 წლის შემდეგ გაცემიდან, რაც მას ხელახლა გასესხებისა და შესაბამისი სარგებლის მიღების შესაძლებლობას აძლევს, ანუ, 10 წლის განმავლობაში გადასახდელი სარგებლის ი. გ.-სათვის წინასწარ დაკისრებით ბანკს ექმნება შესაძლებლობა ორმაგად მიიღოს შემოსავალი ერთი კრედიტისაგან, რაც ნიშნავს არა პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას, არამედ ერთიდაიგივე ზიანის მრავალჯერ ანაზღაურებას.

სამოქალაქო კოდექსის 872-ე მუხლით დადგენილია კრედიტორის შესაძლებლობა ზიანის ანაზღაურებაზე მოვალის მხრიდან ვალდებულების ვადამდე შესრულების შემთხვევაში, რაც არ ნიშნავს იმას, რომ შესაბამის ანაზღაურებად ჩაითვლება 10 წლის განმავლობაში კრედიტისათვის

გადასახდელი სარგებლის დაკისრება, თუკი 10 წლით სარგებლობას ადგილი არ ჰქონია. მიღებული ზიანის შესაბამის ანაზღაურებად შეიძლება ჩაითვალოს სარგებლის გადახდა კრედიტის დაბრუნებამდე და დამატებით, დავუშვათ 1 ან 2 თვისათვის იმის გამო, რომ ამ ვადაში კრედიტორს შეიძლება არ შეექმნას კრედიტის ხელახლა გაცემისა და სარგებლის მიღების შესაძლებლობა;

3.3. გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიხედვით, თითქოს მხარეთა შორის არსებობდა შეთანხმება, რომლის მიხედვით თავდები პირის წინააღმდეგ აღსრულების წარმართვა დასაშვები უნდა ყოფილიყო იპოთეკის საგნის რეალიზაციის მიუხედავად. ამგვარი შეთანხმების არსებობის შემთხვევაში იგი დაფიქსირებული უნდა ყოფილიყო მხარეთა მიერ კონკრეტული ფორმულირებით და მხოლოდ ის ფაქტი, რომ მოთხოვნა იპოთეკასთან ერთად უზრუნველყოფილ იქნა თავდებობით, არ გულისხმობს შესაბამისი დათქმის არსებობას.

იპოთეკის არსებობის პირობებში თავდებობა შეიძლებოდა, გამოყენებული ყოფილიყო მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუკი ადგილი ექნებოდა იპოთეკის გაქარწყლების შემთხვევას (მაგალითად, იპოთეკის საგნის განადგურება ან სხვა). თავდებობის გაფორმების მიზანი არ შეიძლებოდა, ყოფილიყო იპოთეკის საგნის რეალიზაციით მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში მისი დაკმაყოფილება თავდები პირების მიმართ აღსრულების მიქცევით.

4. გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმების დასაბუთება

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 386-ე მუხლის შესაბამისად, თუ სააპელაციო საჩივარი დასაშვებია და საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოს არ უბრუნდება, სააპელაციო სასამართლო თვითონ იღებს გადაწყვეტილებას საქმეზე. იგი თავისი განჩინებით უარს ამბობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე ან გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით იღებს ახალ გადაწყვეტილებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის საფუძველზე სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც საქმე ხელმეორედ არ წყდება არსებითად, მიიღება განჩინების ფორმით. განჩინება სამოტივაციო ნაწილის ნაცვლად უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების შესახებ.

ფაქტობრივი დასაბუთება

პალატა თვლის, რომ დადგენილად უნდა იქნეს მიჩნეული საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი გარემოებები:

4.1. სს „ბ. ბ.-სა“ და ი. გ.-ს შორის 2009 წლის 3 ნოემბერს გაფორმებული NX/X/XX65 გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების შემადგენელი NX/X/XXX5/1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება ი. გ.-ს მიერ შესრულებული არ ყოფილა 2010 წლის 4 მაისიდან, ხოლო

NX/X/XXX5/2 ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულება - 2010 წლის 7 აპრილიდან. შედეგად, NX/X/XXX5/1 ხელშეკრულებით გაცემული კრედიტიდან ი. გ.-ს გადასახდელი აქვს 31 365,55 აშშ დოლარი, ხოლო NX/X/XXX5/2 ხელშეკრულებით გაცემული კრედიტიდან - 47 381,31 აშშ დოლარი (ტომი 1, ს.ფ. 11-27 - ხელშეკრულებები, გადახდის გრაფიკები, ტომი 1, ს.ფ. 59 - ბანკის 2010 წლის 21 ივლისის ცნობა დავალიანების შესახებ);

დასახელებული გარემოება, ისევე როგორც მისი ამსახველი მტკიცებულებები ი. გ.-ს მიერ არ ყოფილა გამხდარი სადავოდ. პირველი ინსტანციით საქმის განხილვისას სს „პ. ბ.-ს“ მოთხოვნა კრედიტის ძირითადი თანხის - 31365,55 აშშ დოლარისა და 47 381,31 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე ი. გ.-ს წარმომადგენელმა - მ. ს.-მ ცნო 2011 წლის 9 თებერვლის სხდომაზე (ტომი 1, ს.ფ. 183-188);

4.2. **სს „პ. ბ.-სა“ და ი. გ.-ს შორის 2009 წლის 3 ნოემბერს გაფორმებული NX/X/XX65 გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების შემადგენელი NX/X/XXX5/1 და NX/X/XXX5/2 ხელშეკრულებების დარღვევის გამო, ბანკის მიერ განისაზღვრა დამატებით 14 დღის ვადა ვალდებულების შესასრულებლად. შესაბამის ვადაში ვალდებულების შეუსრულებლობის გამო ხელშეკრულების შეწყვეტასა და მოვალის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით გაფრთხილებულ იქნა როგორც სოლიდარული მოვალეები, ასევე კრედიტის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების მესაკუთრეები** (ტომი 1-ლი, ს.ფ. 54-58).

დასახელებული გარემოება არ ყოფილა აპელანტების მიერ გამხდარი სადავოდ (ტომი 1-ლი, ს.ფ. 228-238 - სააპელაციო საჩივარი).

4.3. NX/X/XXX5/1 ხელშეკრულებითა და კრედიტის გადახდის გრაფიკით განსაზღვრული სარგებლის გადახდის ვალდებულება 2010 წლის 21 ივლისის მდგომარეობით განისაზღვრება 840,37 აშშ დოლარის ოდენობით.

დასახელებული გარემოება დგინდება ხელშეკრულების პირობების, კრედიტის გადახდის გრაფიკისა და დავალიანების შესახებ ბანკის მიერ 2010 წლის 21 ივლისს გაცემულ ცნობაში ასახული ინფორმაციის შესაბამისი გაანგარიშებით (ტომი 1-ლი, ს.ფ. 11-22 - ხელშეკრულება, გადახდის გრაფიკი, ს.ფ. 59 - ცნობა);

4.4. NX/X/XXX5/2 ხელშეკრულებითა და კრედიტის გადახდის გრაფიკით განსაზღვრული სარგებლის გადახდის ვალდებულება 2010 წლის 21 ივლისის მდგომარეობით განისაზღვრება 2951,11 აშშ დოლარის ოდენობით;

დასახელებული გარემოება დგინდება ხელშეკრულების პირობების, კრედიტის გადახდის გრაფიკისა და დავალიანების შესახებ ბანკის მიერ 2010 წლის 21 ივლისს გაცემულ ცნობაში ასახული ინფორმაციის შესაბამისი გაანგარიშებით (ტომი 1-ლი, ს.ფ. 23-27 - ხელშეკრულება, გადახდის გრაფიკი, ს.ფ. 59 - ცნობა);

4.5. სს „პ. ბ.-სა“ და ი. გ.-ს შორის დადებული საკრედიტო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით:

ა) 2009 წლის 2 ნოემბრის ხელშეკრულებით სს „პ. ბ.-ს“ სასარგებლოდ იპოთეკით დაიტვირთა შ. კ.-ს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მდებარე თბილისში, შ.-ს ქუჩა NX-ში, საკადასტრო კოდი XX.XX.XX.XXX.XXX.XX.XXX;

ბ) 2009 წლის 2 ნოემბრის ხელშეკრულებით სს „პ. ბ.-ს“ სასარგებლოდ იპოთეკით დაიტვირთა ო.ხ.-ს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება მდებარე თბილისში, ლ.-ს ქუჩა NXX/XX-ში, წილობრივი მონაცემები 24.00/799.00, საკადასტრო კოდი XX.XX.XX.XXX.XXX.XX.XXX.

დასახელებული ხელშეკრულებების 5.6 პუნქტის შესაბამისად, თუ იპოთეკის საგნის რეალიზაციიდან ამონაგები არ არის საკმარისი იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დასაფარად ან/და იპოთეკის საგნის პირდაპირ საკუთრებაში გადაცემის შემთხვევაში იპოთეკის საგნის ღირებულება მთლიანად არ ფარავს საკრედიტო მოთხოვნის ოდენობას, ასეთ შემთხვევაში უზრუნველყოფილი მოთხოვნის ოდენობა არ ჩაითვლება სრულად დაკმაყოფილებულად, არამედ ჩაითვლება დაკმაყოფილებულად მხოლოდ იმ ნაწილში, რასაც გასწვდება იპოთეკის საგნის რეალიზაციის შედეგად ამონაგები თანხა ან მისი ღირებულება (ტომი 1, ს.ფ. 34-48 - იპოთეკის ხელშეკრულებები, საჯარო რეესტრის ამონაწერი).

დასახელებული გარემოებები, ისევე როგორც მისი ამსახველი მტკიცებულებები, არ ყოფილა გამხდარი სადავოდ (ტომი 1, ს.ფ 228-238 - სააპელაციო საჩივარი);

4.6. სს „პ. ბ.-ა“ და ი. გ.-ს შორის დადებული საკრედიტო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით:

ა) 2009 წლის 3 ნოემბერს სს „პ. ბ.-სა“ და მ. ხ.-ს შორის დაიდო სოლიდარული ვალდებულების შესახებ NX/X/XXX5/1 ხელშეკრულება;

ბ) 2009 წლის 3 ნოემბერს სს „პ. ბ.-სა“ და მ. ხ.-ს შორის დაიდო სოლიდარული ვალდებულების შესახებ NX/X/XXX5/2 ხელშეკრულება (ტომი 1-ლი, ს.ფ. 28-33 - ხელშეკრულებები სოლიდარული ვალდებულების შესახებ);

სამართლებრივი დასაბუთება

4.7. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის თანახმად, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია, მოვალეს მოსთხოვოს რაიმე მოქმედების შესრულება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველის ნაწილის მიხედვით, ვალდებულების წარმოშობის ერთ-ერთი საფუძველია მხარეთა შორის არსებული შეთანხმება.

მოცემულ შემთხვევაში საქმეზე დადგენილი გარემოებების მიხედვით, მხარეთა შორის წარმოიშვა საბანკო კრედიტთან დაკავშირებული ურთიერთობა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 867-ე მუხლის თანახმად, საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით კრედიტის გამცემი აძლევს ან მოვალეა, მისცეს მსესხებელს სასყიდლიანი კრედიტი სესხის ფორმით.

სამოქალაქო კოდექსის 868-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მხარეთა შეთანხმებით კრედიტისათვის შეიძლება განისაზღვროს მყარი ან ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი.

სამოქალაქო კოდექსის 873-ე მუხლის შესაბამისად, კრედიტის გამცემს შეუძლია, შეწყვიტოს საკრედიტო ურთიერთობა, თუ გათვალისწინებულია კრედიტის დაბრუნება ნაწილ-ნაწილ და კრედიტის ამღებმა გადააცილა ზედიზედ, სულ ცოტა, ორ ვადას. შეწყვეტა ძალაში შედის მაშინ, თუ ორკვირიანი დამატებითი ვადის მიცემის შემდეგაც არ მოხდება გადახდა.

როგორც დადგენილ იქნა, სს „პ. ბ.-სა“ და ი. გ.-ს შორის 2009 წლის 3 ნოემბერს გაფორმებული NX/X/XX65 გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების შემადგენელი NX/X/XXX5/1 ხელშეკრულებისა და NX/X/XXX5/2 ხელშეკრულების დარღვევის გამო, ბანკის მიერ განისაზღვრა დამატებით 14 დღის ვადა ვალდებულების შესასრულებლად. შესაბამის ვადაში ვალდებულების შეუსრულებლობის გამო ხელშეკრულების შეწყვეტასა და მოვალის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით გაფრთხილებულ იქნა როგორც ი. გ., ასევე კრედიტის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების მესაკუთრეები და სოლიდარული მოვალეები. გამომდინარე იქედან, რომ ი. გ.-ს მიერ საკრედიტო ხელშეკრულებებითა და გადახდის გრაფიკებით გათვალისწინებული ვალდებულება არც დამატებით განსაზღვრულ 14 დღის ვადაში შესრულდა, ბანკს წარმოეშვა ხელშეკრულებიდან გასვლისა და შესაბამის უფლებათა რეალიზაციის უფლება.

პალატა ვერ გაიზიარებს აპელანტის პოზიციას ხელშეკრულებიდან გასვლის არამართლზომიერებასთან დაკავშირებით საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 355-ე მუხლზე დაყრდნობით. პალატა განმარტავს, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის, ხელშეკრულებაზე უარის თქმის ერთ-ერთ კანონისმიერ წინაპირობას წარმოადგენს 352-ე და 405-ე მუხლებით გათვალისწინებული ვალდებულება მეორე მხარისათვის დამატებით განსაზღვრული ვადის ან გაფრთხილების მიცემის თაობაზე, რათა მეორე მხარეს ხელშეკრულებიდან გასვლამდე დამატებით მიეცეს ვალდებულების შესრულების შესაძლებლობა, ამასთან, კონტრაჰენტი ინფორმირებული იყოს, დამატებით ვადაში ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგებთან დაკავშირებითაც. შესაბამისად, ხელშეკრულებიდან გასვლის, ხელშეკრულებაზე უარის თქმის მართლზომიერებაზე მსჯელობისას, სასამართლო ამოწმებს, დაცულია თუ არა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის დანაწესი, მოვალისათვის ვადის დამატებით განსაზღვრასა თუ გაფრთხილებასთან დაკავშირებით. აღნიშნულის არარსებობის შემთხვევაში, კრედიტორის მტკიცების ტვირთია იმ ფაქტობრივი შემადგენლობის არსებობის დადასტურება, რომელიც გამორიცხავს დამატებითი ვადის ან გაფრთხილების ვალდებულებას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის მე-2 ნაწილის კონტექსტში, რაც შეეხება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 355-ე მუხლს, პალატა მიიჩნევს, რომ მითითებული მუხლით გათვალისწინებული ვალდებულება ინფორმაციული ხასიათის მატარებელია, შესაბამისად, ხელშეკრულებიდან გასულ სუბიექტს მხოლოდ მას შემდეგ წარმოეშობა ხელშეკრულების გასვლით მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელების შესაძლებლობა, როდესაც იგი ამის თაობაზე ხელშეკრულების მეორე მხარეს ინფორმაციას მიაწვდის. აღნიშნული მიზნით, სრულიად საკმარისია დამატებით განსაზღვრული ვადის ამოწურვის შემდეგ სარჩელის წარდგენა და სასამართლო წესით მხარის ინფორმირება იმასთან დაკავშირებით, რომ კრედიტორი ხელშეკრულებიდან გადის და ხელშეკრულებიდან გასვლასთან დაკავშირებულ უფლებათა რეალიზებას სასამართლო წესით ახორციელებს. მოცემულ შემთხვევაში, პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ მოვალეებს განესაზღვრათ დამატებით 14 დღიანი ვადა ვალდებულების შესასრულებლად. სს „პ. ბ.-მ” სასამართლოს აღნიშნული ვადის ამოწურვის შემდეგ მიმართა. შესაბამისად, დაცულია ხელშეკრულებიდან გასვლის 405-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობა. რაც შეეხება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 355-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაწესს იმასთან დაკავშირებით, რომ ხელშეკრულებიდან გასვლა ხდება ხელშეკრულების მეორე

მხარისათვის შეტყობინებით, კანონის აღნიშნული დანაწესი შესრულებულია სასამართლოს მხრიდან სარჩელისა და თანდართული მასალების მოპასუხისათვის გადაცემის გზით.

4.8. სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მოვალე, რომელიც ფულადი თანხის გადახდის ვადას გადააცილებს, ვალდებულია, გადაცილებული დროისათვის გადაიხადოს მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული პროცენტი, თუ კრედიტორს, სხვა საფუძვლიდან გამომდინარე, უფრო მეტის მოთხოვნა არ შეუძლია.

სამოქალაქო კოდექსის 404-ე მუხლით, კრედიტორს უფლება აქვს მოითხოვოს ვადის გადაცილებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

სამოქალაქო კოდექსის 407-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულებიდან გასვლისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა ხელშეკრულების შეუსრულებლობით.

სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო.

დასახელებული ნორმების შესაბამისად, ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, კრედიტორისათვის ანაზღაურებას ექვემდებარება როგორც ფაქტობრივად დამდგარი ზიანი, ასევე მიუღებელი შემოსავლის სახით მიყენებული ზიანი. ფულადი ვალდებულების შემთხვევაში, ასეთი ზიანის მოცულობას კანონი განსაზღვრავს მხარეთა მიერ შეთანხმებული პროცენტის ოდენობით, რომლის გადახდაც მოვალეს ეკისრება დავალიანების დაფარვამდე. ყველა შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობის საფუძველია ის დანაკლისი, რაც კრედიტორმა შეიძლება რეალურად განიცადოს ხელშეკრულების პირობათა შეუსრულებლობით.

პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 403-ე და 411-ე მუხლების ერთობლივი ანალიზის შედეგად განმარტოს, რომ მიუღებელ შემოსავლად იმ სარგებლის მიჩნევა, რაც ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული და რაც საკრედიტო დაწესებულებას უნდა მიეღო, სრულიად ლოგიკურია, ვინაიდან საკრედიტო დაწესებულების ძირითადი ფუნქცია და დანიშნულება სწორედ ფულადი თანხის სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემაა. შესაბამისად, საკრედიტო დაწესებულებებთან მიმართებით, არსებობს პრეზუმფცია იმისა, რომ საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, საკრედიტო დაწესებულება ვერ იღებს იმ შემოსავალს, რომელიც მას აღნიშნული თანხით უნდა მიეღო. სწორედ ამიტომ, გამართლებულია საკრედიტო დაწესებულების შემთხვევაში მიუღებელ ზიანად იმ შემოსავლის მიჩნევა, რომელსაც საკრედიტო დაწესებულება მსესხებლის მიერ სესხით გათვალისწინებულ თანხაზე დარიცხული სარგებლის სახით მიიღებდა.

მოცემულ შემთხვევაში, სს „პ. ბ." საკრედიტო ხელშეკრულებებით კრედიტისათვის გათვალისწინებული სარგებლის, როგორც მიუღებელი შემოსავლის, მოვალისათვის დაკისრებას ხელშეკრულების სრული ვადისათვის ითხოვს. არსებული სამართლებრივი ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, ამგვარი მოთხოვნა სამართლებრივად დასაბუთებულად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ კრედიტის ძირითადი თანხის დაფარვამდე პერიოდისათვის გადასახდელი სარგებლის მოვალისათვის დაკისრების ნაწილში. შესაბამის პერიოდში კრედიტის სახით

გაცემული თანხის გამოყენების შეუძლებლობა საკრედიტო დაწესებულებისათვის მიიჩნევა, როგორც ამ თანხის ბრუნვის შედეგად მისაღები შემოსავლის დაკარგვის საფუძველი. რაც შეეხება კრედიტის თანხის დაბრუნების შემდგომ პერიოდს, მისთვის სარგებლის გადახდის მოთხოვნა დაუსაბუთებელია შესაძლო ზიანზე არსებული ვარაუდის უსაფუძვლობის გამო. კრედიტის გამცემის განმარტების შესაბამისად, მისთვის მიუღებელ შემოსავალს წარმოადგენს თანხა, რასაც იგი მიიღებდა კონკრეტული ხელშეკრულების ჯეროვნად შესრულების - მისი ვადის ბოლომდე კრედიტისა და სარგებლის გადახდის შემთხვევაში. იმის გათვალისწინებით, რომ ფული განიხილება, როგორც ყველაზე ბრუნვაუნარიანი საშუალება და საკრედიტო დაწესებულების მიერ მისი ფლობა ქმნის ჩვეულებრივ საქმიანობის განხორციელებით სარგებლის მიღების უპირობო ვარაუდს, თანხის დაბრუნების მიუხედავად, შემოსავლის მიღების შეუძლებლობაზე მითითება გაუმართლებელია, როგორც ფაქტობრივი, ასევე სამართლებრივი თვალსაზრისით.

პალატა განმარტავს, რომ კრედიტის გამცემის ინტერესი კონკრეტული საკრედიტო ხელშეკრულების ჯეროვნად შესრულების მიმართ დაცულია სამოქალაქო კოდექსის 872-ე მუხლით, რომელიც ითვალისწინებს კრედიტის ამღების პასუხისმგებლობას კრედიტის ვადამდე დაბრუნების შემთხვევაში. დასახელებული ნორმის მიხედვით, თუ კრედიტის ამღები უკან აბრუნებს კრედიტს საკრედიტო ურთიერთობის დამთავრებამდე, მაშინ კრედიტის გამცემს შეუძლია მოითხოვოს ზიანის შესაბამისი ანაზღაურება. ამასთან, ზიანის საზღაურში უნდა ჩაითვალოს დაზოგილი გასავლების ღირებულება, აგრეთვე ის სარგებელი, რომელსაც კრედიტის გამცემი მიიღებდა სასესხო ვალუტის სხვაგვარი გამოყენებიდან, ან თუ კრედიტის მიმღებმა განზრახ არ დაუშვა მისი მიღება. ამდენად, კანონმდებელი ზიანის ოდენობის განსაზღვრისათვის აუცილებლად მიიჩნევს როგორც კრედიტის ვადამდე დაბრუნებით დაზოგილი სარგებლის, ასევე სასესხო ვალუტის კრედიტის გამცემის მიერ სხვაგვარად გამოყენების შესაძლებლობის გათვალისწინებას.

აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო კოდექსის 872-ე მუხლში მოცემული პრინციპი კრედიტის ვადამდე დაბრუნებით განპირობებული ზიანის ოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებით ასახულია საკრედიტო ხელშეკრულებებშიც, სადაც კრედიტის ვადამდე დაბრუნებისათვის მოვალის პასუხისმგებლობის ფარგლები არ აღემატება ვადამოსულ გადახდაზე ზედმეტად გადახდილი თანხის 3%-ს (NX/X/XX65 გენერალური ხელშეკრულების 5.5 პუნქტი). აღნიშნული პირობით კრედიტის ვადამდე დაბრუნება წარმოადგენს კრედიტის ამღების უფლებას და ამ უფლების რეალიზაცია არ შეიძლება, ჩაითვალოს ხელშეკრულების დარღვევად. ამდენად, ხელშეკრულების ჯეროვან შესრულებად განიხილება არამარტო გადახდის გრაფიკის შესრულება ხელშეკრულების ვადის ბოლომდე, არამედ კრედიტის ვადამდე დაბრუნება დადგენილი პროცენტის გადახდით, რა შემთხვევაშიც, საფუძველი ეცლება მოსაზრებას, რომლის მიხედვით, კრედიტის გამცემი ხელშეკრულების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიიღებდა 10 წლიანი კრედიტისათვის გათვალისწინებულ სარგებელს.

ამდენად, პალატა მიიჩნევს, რომ საკრედიტო სამართალურთიერთობაში ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების გამო ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში, მიუღებელ შემოსავალს წარმოადგენს კრედიტის სახით გაცემულ თანხაზე დარიცხული სარგებელი, თუმცა, აღნიშნული სარგებელი მოვალისათვის საკრედიტო დაწესებულების სასარგებლოდ დაკისრებულ უნდა იქნეს, კრედიტის სახით გაცემული თანხის ნებაყოფლობით თუ იძულებით, საკრედიტო დაწესებულებისათვის სრულად დაბრუნებამდე, რითაც მას აღნიშნული თანხის ბრუნვით კვლავ მიეცემა შემოსავლის მიღების შესაძლებლობა, შესაბამისად, გამორიცხულია მიუღებელი შემოსავლის სახით თანხაზე იმ ოდენობით სარგებლის დარიცხვა, რა ოდენობით სარგებელსაც ბანკი ხელშეკრულების მოქმედების ვადაში მიიღებდა, ვინაიდან კანონიც და ხელშეკრულებაც

სესხის ვადაზე ადრე დაბრუნების შესაძლებლობას ითვალისწინებს და დაუშვებელია ვალდებულების ვადაზე ადრე შესრულების შემთხვევაში, სარგებლის იმ ოდენობით მოთხოვნა, რასაც საკრედიტო დაწესებულება სესხით მთელი საკრედიტო დროის განმავლობაში მიიღებდა. ამდენად, აპელანტის მოთხოვნა აღნიშნულ ნაწილში დასაბუთებულია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სს „პ. ბ." უფლებამოსილია, მოითხოვოს ი. გ.-ს მიერ საკრედიტო ხელშეკრულებათა დარღვევით განპირობებული ზიანის ანაზღაურება ხელშეკრულების შეწყვეტიდან კრედიტის ძირითადი თანხის დაფარვამდე კრედიტისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლის გადახდის სახით.

აქვე პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოვალის მიერ ბანკისათვის კრედიტის ძირითადი თანხის გადახდა დამოკიდებულია შესაბამის ნაწილში მიღებული გადაწყვეტილების როგორც ნებაყოფლობით შესრულებაზე, ასევე კრედიტორის ნებაზე, განახორციელოს იძულებითი აღსრულება ვალდებულების ნებაყოფლობით შეუსრულებლობის შემთხვევაში. ამდენად, მოცემულ ეტაპზე სასამართლო ვერ იმსჯელებს, თუ რა ვადაში განხორციელდება კრედიტის ძირითადი თანხის დაფარვა და თეორიულად შესაძლებელია, ეს ვადა აღემატებოდეს მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებებით განსაზღვრულ ვადას, რა შემთხვევაშიც, მოვალის მიერ გადასახდელი სარგებელი იქნება მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ სასარჩელო მოთხოვნის მოცულობაზე მეტი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის მიხედვით, სასამართლოს უფლება არ აქვს მხარეს თავისი გადაწყვეტილებით მიაკუთვნოს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე გადაწყვეტილებით გათვალისწინებული მიუღებელი შემოსავლის სახით ამოღებული თანხა არ უნდა აღემატებოდეს 2009 წლის 3 ნოემბრის NX/X/XXX6/1 ხელშეკრულებიდან გამომდინარე - 38 512,63 აშშ დოლარს, ხოლო 2009 წლის 4 ნოემბრის NX/X/XXX6/2 ხელშეკრულებიდან გამომდინარე - 59 426,86 აშშ დოლარს;

4.9. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის კრედიტორის (იპოთეკის) საკუთრებაში გადასვლისას მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის ღირებულება მთლიანად არ ფარავს ამ მოთხოვნის ოდენობას, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

აღნიშნული ნორმის დანაწესიდან გამომდინარეობს, რომ მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ განსხვავებულ წესზე, რა დროსაც მოთხოვნა არ ჩაითვლება დაკმაყოფილებულად და კრედიტორი (იპოთეკარი) კვლავაც იქნება უფლებამოსილი, მოითხოვოს სხვაობა იპოთეკის საგნის რეალიზაციის შედეგად ამონაგებ თანხასა და მოთხოვნის ოდენობას შორის მოვალის სხვა ქონებაზე აღსრულების მიქცევით.

როგორც მოცემულ შემთხვევაში იქნა დადგენილი, მხარეთა შორის გაფორმებული იპოთეკის ხელშეკრულებებით, თუ იპოთეკის საგნის რეალიზაციიდან ამონაგები არ არის საკმარისი იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დასაფარად ან/და იპოთეკის საგნის პირდაპირ საკუთრებაში გადაცემის შემთხვევაში, იპოთეკის საგნის ღირებულება მთლიანად არ ფარავს საკრედიტო მოთხოვნის ოდენობას, ასეთ შემთხვევაში უზრუნველყოფილი მოთხოვნის ოდენობა არ ჩაითვლება სრულად დაკმაყოფილებულად, არამედ ჩაითვლება დაკმაყოფილებულად მხოლოდ იმ ნაწილში, რასაც გასწვდება იპოთეკის საგნის რეალიზაციის შედეგად ამონაგები თანხა ან მისი ღირებულება. აღნიშნულიდან გამომდინარე უსაფუძვლოა აპელანტის მითითება იმასთან

დაკავშირებით, რომ იპოთეკის საგნის რეალიზაციის შემთხვევაში ი. გ.-ს ვალდებულება სს „პ. ბ.-ს“ მიმართ შეწყვეტილად უნდა ყოფილიყო მიჩნეული;

4.10. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 463-ე მუხლის შესაბამისად, თუ რამდენიმე პირს ევალება ვალდებულების შესრულება ისე, რომ თითოეულმა უნდა მიიღოს მონაწილეობა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში (სოლიდარული ვალდებულება), ხოლო კრედიტორს აქვს შესრულების მხოლოდ ერთჯერადი მოთხოვნის უფლება, მაშინ ისინი წარმოადგენენ სოლიდარულ მოვალეებს.

მოცემულ შემთხვევაში, საკრედიტო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე სს „პ. ბ.-ს“ მოთხოვნა ი. გ.-ს მიმართ უზრუნველყოფილია სოლიდარული ვალდებულებების შესახებ ხელშეკრულებებით. აღნიშნული ხელშეკრულებებით, მა. ხ.-მ და მე. ხ.-მ ძირითად მსესხებელ ი. გ.-სთან ერთად სოლიდარულად იკისრეს კრედიტის თანხის გადახდის ვალდებულება. აღნიშნული ხელშეკრულებების საფუძველზე ბანკს უფლება აქვს, კონტრაჰენტს წაუყენოს მოთხოვნა მსესხებლის მიმართ იძულებითი აღსრულების მცდელობის გარეშე. სოლიდარული მოვალეები კისრულობენ მსესხებლის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით თანხისა და პირგასამტეხლოს გადახდას. სოლიდარული ვალდებულების თავისებურებიდან გამომდინარე, ყოველი მოვალე კრედიტორის წინაშე ვალდებულებებზე პასუხს აგებს უშუალოდ, მთელი თავისი ქონებით. ასევე დადგენილია მხარეთა ნება და შეთანხმება იმის თაობაზე, რომ იპოთეკის საგნის რეალიზაციიდან ამონაგები თანხით არ უქმდება კრედიტორის მოთხოვნა.

პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ მხარეთა შეთანხმება არ შემოიფარგლება მხოლოდ იპოთეკის ხელშეკრულებით. მხარეთა შეთანხმება მოიცავს ზემოთ მითითებულ ყველა ხელშეკრულებას ერთობლიობაში, რომელთა ანალიზიდან ცალსახად იკვეთება, რომ მსესხებლის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს როგორც იპოთეკით დატვირთული ქონებით, ასევე სოლიდარულ მოვალეთა ქონებით.

აპელანტის მითითება სოლიდარულად ვალდებული პირების ქონებაზე აღსრულების დაუშვებლობის თაობაზე ეწინააღმდეგება სოლიდარული პასუხისმგებლობის არსს და გამორიცხავს ასეთი სახის ვალდებულების არსებობის შესაძლებლობას. სამოქალაქო კოდექსის 465-ე მუხლის თანახმად, კრედიტორს შეუძლია თავისი სურვილისამებრ შესრულება მოსთხოვოს ნებისმიერ სოლიდარული მოვალეს, როგორც მთლიანად, ასევე ნაწილობრივ. ვალდებულების ბოლომდე შესრულებამდე დანარჩენი მოვალეების ვალდებულება ძალაში რჩება.

კანონი ყველა მოვალის მიმართ ვალდებულების შესრულების ერთნაირ წესს აწესებს და იგი არ ითვალისწინებს რომელიმე მოვალის ვალდებულების გამორიცხვის შესაძლებლობას მოვალის შეხედულებისამებრ. შესაბამისად, პალატა მიიჩნევს, რომ თუ მოთხოვნა ვერ კმაყოფილდება ბოლომდე, ძირითადი მსესხებლისა და სოლიდარულად ვალდებული პირების ვალდებულება ძალაში რჩება და ისინი ვალდებულნი არიან, დააკმაყოფილონ კრედიტორის მოთხოვნა[1]. მითუმეტეს, რომ მოცემულ შემთხვევაში, აღნიშნულ დათქმას პირდაპირ ითვალისწინებს საქმეში წარმოდგენილი იპოთეკის ხელშეკრულებები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სწორადაა დადგენილი აღსრულების წესი. პალატა თვლის, რომ აღსრულება უნდა მოხდეს

[1] იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 1 აგვისტოს განჩინება **ას-164-158-2011**

უზრუნველყოფილი ქონებიდან, ხოლო თუ ეს ქონება ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნას, აღსრულება უნდა გაგრძელდეს სოლიდარული მოვალეების, ი. გ.-ს, მა. ხ.-ს და მე. ხ.-ს ქონებაზეც.
ამდენად, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მართლზომიერად იქნა გადაწყვეტილი, რომ იპოთეკის საგნების რეალიზაციის გზით კრედიტორის მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილების შეუძლებლობის შემთხვევაში უნდა განხორციელდეს მოვალეთა საკუთრებაში არსებული სხვა ქონების რეალიზაცია.

5. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა

პალატა მიიჩნევს, რომ ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების გამო საკრედიტო დაწესებულების ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში, მოვალეს მიუღებელი შემოსავლის სახით სარგებელი ვალდებულების შესრულებამდე უნდა დაეკისროს, ხოლო რაც შეეხება აღსრულების წესს, იმ შემთხვევაში, თუ იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის შედეგად ამონაგები თანხით არ მოხდება დავალიანების სრულად დაფარვა, აღსასრულებლად უნდა მიექცეს სოლიდარული მოვალეების - ი. გ.-ს, მ. ხ.-სა და მ.ხ.-ს საკუთრებაში არსებული ქონება.

6. საპროცესო ხარჯები

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, იმ მხარის მიერ გაწეული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში ხარჯების გადახდისაგან.

სს „ბ. ბ.-ს“ სარჩელის ღირებულება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტის თანახმად,176 906,85 აშშ დოლარია, ხოლო წინამდებარე გადაწყვეტილებით დაკმაყოფილებული სარჩელის ღირებულება კი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „დ“ პუნქტების შესაბამისად - 114 257,31 აშშ დოლარი, კერძოდ, კრედიტის ძირითადი თანხის, პირგასამტეხლოსა და ფიქსირებული ოდენობით სარგებლის დაკისრების ნაწილში დაკმაყოფილებული სარჩელის ღირებულება NX/X/XXX5/1 ხელშეკრულებიდან გამომდინარე 32 425,90 აშშ დოლარია (კრედიტის ძირითადი თანხა 31,364,55 აშშ დოლარი + სარგებელი 840,37 აშშ დოლარი + პირგასამტეხლო 221 აშშ დოლარი), ხოლო NX/X/XXX5/2 ხელშეკრულებიდან (კრედიტის ძირითადი თანხა 47 381,31 აშშ დოლარი + სარგებელი 2951,22 აშშ დოლარი) გამომდინარე - 50332,50 აშშ დოლარი. ზიანის ანაზღაურების დაკისრების მოთხოვნის ნაწილში დაკმაყოფილებული სარჩელის ღირებულება განისაზღვრება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტით 2 წლის განმავლობაში გადასახდელი თანხების ოდენობით, კერძოდ, NX/X/XXX5/1 ხელშეკრულებიდან გამომდინარე 12 545,8 აშშ დოლარის ოდენობით (31 364,55 აშშ დოლარის 20% = 6272,90X2 წელი), ხოლო NX/X/XXX5/2 ხელშეკრულებიდან გამომდინარე 18952,50 აშშ დოლარის ოდენობით (კრედიტის ძირითადი თანხის - 47381,31 აშშ დოლარის 20% = 9476,26 X 2 წელი). ამდენად, სს „ბ. ბ.-ს“ სასარჩელო მოთხოვნის მხოლოდ 65%-ია დაკმაყოფილებული (114257,31 შეადგენს 176906,85-ის 65%-ს).

დადგენილია, რომ სარჩელისათვის სს „ბ. ბ.-ს“ მიერ გადახდილია სახელმწიფო ბაჟი 5000 ლარის ოდენობით (ტომი 1, ს.ფ. 60), ხოლო სააპელაციო საჩივრისათვის გადასახდელი ბაჟის - 5000 ლარის გადახდა ი. გ.-ს, მა. ხ.-ს, მე. ხ.-ს, შ. კ.-სა და ო. ხ.-ს პალატის 2011 წლის 14 ნოემბრის განჩინებით საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე გადაუვადდათ (ტომი მე-2, განჩინება). შესაბამისად, სარჩელისათვის გადახდილი ბაჟიდან მოპასუხეებს უნდა დაეკისროთ

მოსარჩელისათვის 65%-ის - 3250 ლარის ანაზღაურება, ხოლო სააპელაციო საჩივრისათვის გადასახდელი ბაჟიდან ი. გ.-ს, მა. ხ.-ს, მე. ხ.-ს, შ. კ.-სა და ო. ხ.-ს ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა დაეკისროთ 65%-ის - 3250 ლარის გადახდა, ხოლო სს „ჰ. ბ.-ს“ – 1750 ლარის გადახდა სარჩელის დაუკმაყოფილებელი ნაწილის პროპორციულად.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ

დ ა ა დ გ ი ნ ა

1. ი. გ.-ს, მა. ხ.-ს, მე. ხ.-ს, შ. კ.-სა და ო. ხ.-ს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილება ი. გ.-სათვის, მა. ხ.-სა და მე. ხ.-სათვის სს „ჰ. ბ.-ს” სასარგებლოდ 2009 წლის 3 ნოემბრის NX/X/XXX6/1 და 2009 წლის 4 ნოემბრის NX/X/XXX6/2 საკრედიტო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში და აღნიშნულ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ი. გ.-ს, მა. ხ.-სა და მე. ხ.-ს სს „ჰ. ბ.-ს” სასარგებლოდ დაეკისროთ 2009 წლის 3 ნოემბრის NX/X/XXX6/1 ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მიუღებელი შემოსავლის სახით, ზიანის ანაზღაურება 840,37 აშშ დოლარისა და 2010 წლის 21 ივლისიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე კრედიტის ძირითადი თანხის - 31 364,55 აშშ დოლარის წლიური 20%-ის ოდენობით;

4. ი. გ.-ს, მა. ხ.-სა და მე. ხ.-ს სს „ჰ. ბ.-ს” სასარგებლოდ დაეკისროთ 2009 წლის 4 ნოემბრის NX/X/XXX6/2 ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მიუღებელი შემოსავლის სახით, ზიანის ანაზღაურება 2 951,22 აშშ დოლარისა და 2010 წლის 21 ივლისიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე კრედიტის ძირითადი თანხის - 47 381,31 აშშ დოლარის წლიური 20%-ის ოდენობით;

5. გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების წესით, წინამდებარე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული **მიუღებელი შემოსავლის სახით** ამოღებული თანხა არ უნდა აღემატებოდეს 2009 წლის 3 ნოემბრის NX/X/XXX6/1 ხელშეკრულებიდან გამომდინარე - 38 512,63 აშშ დოლარს, ხოლო 2009 წლის 4 ნოემბრის NX/X/XXX6/2 ხელშეკრულებიდან გამომდინარე - 59 426,86 აშშ დოლარს;

6. სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში ბიუჯეტის სასარგებლოდ გადასახდელი ბაჟიდან - 5 000 ლარიდან - სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებული მოთხოვნის პროპორციულად ი. გ.-ს, მა. ხ.-ს, მე. ხ.-ს, შ. კ.-სა და ო. ხ.-ს გადახდეთ 3250 ლარი, ხოლო სს „ჰ. ბ.-ს” – 1750 ლარი;

7. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-6 პუნქტი და დაკმაყოფილებული სასარჩელო მოთხოვნის პროპორციულად ი. გ.-ს, მა. ხ.-ს, მე. ხ.-ს, შ. კ.-სა და ო. ხ.-ს სს „ჰ. ბ.-ს” სასარგებლოდ გადახდეთ 3250 ლარი;

8. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან 21 დღის ვადაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში საკასაციო საჩივრის წარდგენის გზით;

9. გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე, თუ ის ესწრება გადაწყვეტილების გამოცხადებას ან მისთვის ცნობილია გამოცხადების თარიღი, ვალდებულია, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი. წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

თავმჯდომარე **ქეთევან მესხიშვილი**

მოსამართლეები **გია კახეთელიძე**

ნატალია ნაზღაიძე